ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3998963

ნომერი: AR1604378

თარიღი : 28.05.2018

გაცემის თარიღი : 05.06.2018

გაცნობის თარიღი : 06.06.2018

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დასახლება აეროპორტი , აეროპორტის მისასვლელი საავტომობილო გზის მიმდებარედ, (ნაკვ.02/024) ; ქალაქი თბილისი , დასახლება აეროპორტი , აეროპორტის მისასვლელი საავტომობილო გზის მიმდებარედ, (ნაკვ. 02/026);

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი ქანთარია პ/ნ 01006007165
- თბილისი დიღმის მას. II კვ. კორ. 17 ბ. 52

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ შემდეგს:

მსგავსი სახით გამწვანებულ ზოლში სარეკლამო აბრის განთავსება სამსახურს მიზანშეწონიალდ არ მიაჩნია, საჭირო აღნიშნულის განთავსება მოხდეს სხვა ალტერნატიულ ტერიტორიაზე.
საჭიროა წარმოდგენილ იქნას მომიჯნავე მიწის ნაკვეთის მესაკუთრის (ს.კ01.19.30.001.215) ''საქართველოს აეროპორტების გაერთიანების'' თანხმობა ჩასატარებელ სამუშაოებთან დაკავშირებით.
ასევე საჭიროა წარმოდგენილ იქნეს 25.05.2018 წლის #0000410 თანხმობაში მითითებული დანართები.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.